ოქმი №12

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეთორმეტე სხდომის

15 ნოემბერი 2022 წელი.

სხდომაზე საკრებულოს 39 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32-მა (ოცდათორმეტი) წევრმა. (სია თან ერთვის).

ესწრებოდა: გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
მ. სუქნიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

სხდომა გახსნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ _ ვახტანგ ღამბაშიძემ.

მან სხდომას გააცნო დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

პირველი- ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მეორე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

მესამე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მეოთხე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მეხუთე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა, დღის წესრიგის დასამტკიცებლად.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით დამტკიცდა დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა ვ. ჩინჩალაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 8 ნოემბრის N22-2222312107 მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

ძირითადი ყურადღება გამახვილდა, საკრებულოს ოპოზიციური ნაწილის მხრიდან, უკვე დამტკიცებული და გადაწყვეტილი პროექტების შეფერხების მიზეზების თაობაზე. კერძოდ, ეს შეეხებოდა ზედა საქარაში სამონასტრო კომპლექსის გზის პროექტების განხორციელებას, ქ. ზესტაფონში კეთილაძის სკვერისა და ე. წ. გვირაბის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, რაზეც შესაბამისი განმარტება გააკეთა მერის პირველმა მოადგილემ, გიორგი ჯუღელმა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

მომხრე: 26.

წინააღმდეგი: 2.

არ მიიღო მონაწილეობა: 4.

საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით მიღებული იქნა დადგენილება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

მომხსენებელმა გ. ჯუღელმა (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 31 ოქტომბრის N22-222230463 და 2022 წლის 12 ნოემბრის N22-22223162 მომართვები და „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი მ. სუქნიძე - სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მომხსენებელმა მ. სუქნიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 13 ნოემბრის N22-222231720 მომართვა და ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

დამსწრე ყველა დეპუტატის მხარდაჭერით მიღებული იქნა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ილია ფუტკარაძის 2022 წლის 14 ნოემბრის N23-23223184 განცხადება, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და საკრებულოს უმრავლესობის დატოვების შესახებ. მან მიმართა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურები.

გ. კაკოიშვილმა (საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) საკრებულოს გააცნო საინიციატივო ჯგუფის განცხადება, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ილია ფუტკარაძის კანდიდატურის დასახელების შესახებ.

საკრებულოს ოპოზიციურმა ნაწილმა მოითხოვა განმარტების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია დეპუტატის მხრიდან პარტია „ქართული ოცნების“ დატოვება და იგივე კანდიდატურის დაყენება არის თუ არა სამართლიანი, რაზეც კანდიდატმა როგორც პარტიის წევრმა და ყოფილმა კომისიის თავმჯდომარემ, ილია ფუტკარაძემ განაცხადა, რომ ჩვენი პარტია ‘ქართული ოცნების“ რიგების დატოვება და ახალ მოძრაობაში გადასვლა განპირობებულია საზოგადოებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებისა და გასაჯაროვების გამო, ისინი რჩებიან ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

ოპოზიციამ თავიანთი კანდიდატურის დასხელებაზე და საკითხის განხივის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს და დატოვეს სხდომათა დარბაზი.

სხვა კანდიდატურები კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არ დასახელებულა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის არჩევნების პროცედურა საჭიროა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით და დაავალა საკრებულოს აპარატს, მოამზადოს ყველა საჭირო პროცედურა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ხუთწუთიანი შესვენება.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა კენჭისყრა და სთხოვა საკრებულოს წევრებს, გაიარონ რეგისტრაცია ბიულეტენების მისაღებად.

ჩატარდა კენჭისყრა.

ვ. ღამბაშიძემ (საკრებულოს თავმჯდომარე) წარმოადგინა შედეგები და აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 26–მა წევრმა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია საკრებულოს 6 წევრს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ილია ფუტკარაძეს მხარი დაუჭირა საკრებულოს 26-მა წევრმა, წინააღმდეგი – 0, ბათილი – 0.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეული იქნა ილია ფუტკარაძე. მომზადდა განკარგულება.

(თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

მომხსენებელმა ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) საკრებულოს წევრებს გააცნო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ანგი ბოჭორიშვილის 2022 წლის 14 ნოემბრის N23-23223183 განცხადება, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ და საკრებულოს უმრავლესობის დატოვების შესახებ.

გ. კაკოიშვილმა (საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) საკრებულოს გააცნო საინიციატივო ჯგუფის განცხადება, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ანგი ბოჭორიშვილის კანდიდატურის დასახელების შესახებ.

სხვა კანდიდატურები კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არ დასახელებულა.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის არჩევნების პროცედურა საჭიროა ჩატარდეს ფარული კენჭისყრით და დაავალა საკრებულოს აპარატს, მოამზადოს ყველა საჭირო პროცედურა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა ხუთწუთიანი შესვენება.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) გამოაცხადა კენჭისყრა და სთხოვა საკრებულოს წევრებს, გაიარონ რეგისტრაცია ბიულეტენების მისაღებად.

ჩატარდა კენჭისყრა.

ვ. ღამბაშიძემ (საკრებულოს თავმჯდომარე) წარმოადგინა შედეგები და აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 26–მა წევრმა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია საკრებულოს 6 წევრს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ანგი ბოჭორიშვილს მხარი დაუჭირა საკრებულოს 26-მა წევრმა, წინააღმდეგი – 0, ბათილი – 0.

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეული იქნა ანგი ბოჭორიშვილი. მომზადდა განკარგულება.

(თან ერთვის).

ვ. ღამბაშიძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე) სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვახტანგ ღამბაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის სპეციალისტი: **რ. გველესიანი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე
დამსწრე დეპუტატთა
ს ი ა

1. ვახტანგ ღამბაშიძე
2. გიორგი კაკოიშვილი
3. ირმა გიორგაძე
4. მამუკა მოდებაძე
5. ბადრი წაქაძე
6. ანგი ბოჭორიშვილი
7. კახაბერ გოქაძე
8. ილია ფუტკარაძე
9. თემური მაღლაკელიძე
10. ნუგზარ ფერაძე
11. რობერტი მახათაძე
12. მაია ჩხეიძე
13. დავით მიქაბერიძე
14. მამუკა კურტანიძე
15. ირაკლი კვეტენაძე
16. ჯემალ ჯუღელი
17. ვლადიმერ კამლაძე
18. დავით ფერაძე
19. ანი გელაშვილი
20. გოჩა მაჭავარიანი
21. რამაზი ფერაძე
22. ნანა ფერაძე
23. მანანა ცქიტიშვილი
24. ელისო ბოგვერაძე
25. მარეხი ქათამაძე
26. უჩა ჩუბინიძე
27. ზურაბ ყანცაველი
28. პაატა ნასრაძე
29. ოთარი მაღლაკელიძე
30. ბელა ღიბრაძე
31. ლევან ჭანტურიძე
32. მაია კახნიაშვილი

აპარატის უფროსი დავით ბარბაქაძე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 15 ნოემბრის სხდომის

სარჩევი

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 15 ნოემბრის სხდომის
დღის წესრიგი

დასაწ: 12:00 სთ.

1. ,,ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(მომხსენებელი ვ. ჩინჩალაძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ამბულატორიების) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

(მომხსენებელი გ. ჯუღელი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე)

3. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი მ. სუქნიძე - სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

5. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

(მომხსენებელი ვ. ღამბაშიძე - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

აპარატის უფროსი **დავით ბარბაქაძე**